



## საქართველო

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC),  
სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) და  
დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP)  
ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა (CDI)**

## 2013 წლის ივლისი-სექტემბერი

### **BP-ის ბიზნესსაქმიანობა საქართველოში**

BP საქართველოში 1996 წლიდან იმყოფება. ჩვენი ძირითადი საქმიანობა ჩვენ მიერ ოპერირებული მილსადენების საშუალებით ენერჯის უსაფრთხო ტრანსპორტირება და მიწოდებაა. ამ დარგში ჩვენ წამყვანი ინვესტორი და ოპერატორი ვართ ნავთობისა და გაზის სამ მსხვილ პროექტში:

### **ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC)**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) ექსპლუატაცია 2006 წლის ივნისში დაიწყო. BTC მილსადენი, რომლის მთლიანი სამშენებლო ღირებულება დაახლოებით 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია. სრული წარმადობით მილსადენს საერთაშორისო ბაზრებისთვის დღეში ერთი მილიონი ბარელი ნავთობის მიწოდება შეუძლია, რაც მომავალი ათწლეულების განმავლობაში საქართველოს მთავრობისთვის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

### **სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP)**

სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) საშუალებით კასპიის ზღვის შაჰ დენიზის საბადოდან გაზის აზერბაიჯანისა და საქართველოს ბაზრებისთვის მიწოდება 2006 წლის დეკემბერში, ხოლო თურქეთში 2007 წლის ივლისში დაიწყო. გაზსადენი რეგიონის გაზმომარაგების ახალ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

### **დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP)**

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (WREP), რომელიც აგრეთვე ცნობილია ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით, ჩვენმიერ საქართველოში განხორციელებული პირველი ინვესტიციაა. ამ 830 კმ სიგრძის მილსადენით ნავთობი კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან, აზერბაიჯანის

სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში მდებარე სუფსის ტერმინალს მიეწოდება. მილსადენის მთლიანი მარშრუტის თითქმის ნახევარი საქართველოში მდებარეობს. WREP-ს, რომელიც 1999 წელს ამოქმედდა, დღეში 100 ათასამდე ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.

## **BP საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის (CDI) მიმოხილვა**

### **პროგრამა BTC/SCP მილსადენების ახლომდებარე სოფლებში**

CDI-ს განხორციელება საქართველოში დაიწყო 2003 წლის დასაწყისში, SCP და BTC მილსადენების მარშრუტის ახლომდებარე 77 დასახლებაში. თავდაპირველად, პროგრამას ეწოდებოდა „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა 1“ (CIP 1), ხოლო მოგვიანებით ეს დასახელება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივით (CDI) შეიცვალა.

#### **CDI 1**

მილსადენების მშენებლობის ეტაპზე CDI 1-ის მიზანი იყო BP-სა და მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გადრმავევა, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გზით.

მილსადენების მშენებლობის პერიოდში პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი სამი წლის განმავლობაში (2003-2006 წწ.) 8 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. მსგავსი პროგრამები აზერბაიჯანისა და თურქეთისთვისაც შეიქმნა.

BTC/SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის შემდეგ (2006 წელი), BP-მ, როგორც BTC და SCP მილსადენების ოპერატორმა, CDI-ის მე-2 ფაზის დაფინანსება კიდევ 3 წლით (2006-2009წწ) გააგრძელა, რომლის მიზანი BTC/SCP მილსადენების ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური ურთიერთობების გადრმავევა და განმტკიცება იყო.

#### **CDI 2**

CDI-ს II ფაზა (CDI 2), ზოგადად, მიზნად ისახავდა BP-სა და BTC/SCP მილსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას შორის პოზიტიური ურთიერთობების გადრმავევას, იმ მოსახლეობის ფინანსური მხარდაჭერის გზით, რომელიც მზად არის გახდეს საზოგადოების მდგრადი განვითარების მაგალითი. პროგრამის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას, რათა მათ შეძლონ განახორციელონ პროექტები და უზრუნველყონ მათი მდგრადობა, მინიმალური საგარეო დახმარებით, პროგრამის ფარგლებში უნდა გაიზარდოს და გაუმჯობესდეს მილსადენების გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლები და შესაძლებლობები, და ეს ყოველივე BP-სთან პარტნიორული ურთიერთობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს.

2008 წლის დასაწყისში მიმდინარე საქმიანობასთან ერთად, დაიწყო CDI 2-ის მარკეტინგული კომპონენტის – პროექტის „ფერმერები და ბაზარი“ (FiM)

განხორციელება. აღნიშნული ინიციატივის მიზანი იყო წერილი ფერმერების დახმარება მათთვის სასიცოცხლო პრობლემის მოგვარებაში, როგორცაა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოხვედრა გასაღების ბაზარზე. ამ მიზნით, პროექტს ეწოდა „ფერმერები და ბაზარი“.

პროექტის საქმიანობის განხორციელება დაგეგმილი იყო სამწლიანი პერიოდის (2008-2011წწ) განმავლობაში და პროექტის მთლიანი ბიუჯეტი იყო 520 ათასი აშშ დოლარი. 2011 წლის დასაწყისში, პროექტის ბიუჯეტში თანხების დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, კიდევ ოთხი თვით, 2011 წლის ივნისის ბოლომდე. მოგვიანებით, თანხების კვლავ დაზოგვის გამო, პროექტი გაგრძელდა კიდევ ერთი თვით, 2011 წლის ივლისის ბოლომდე, დაგეგმილი სამუშაოების დასასრულებლად, პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი თანხების ფარგლებში.

BP-ისა და მისი აქციონერების მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში, რომლის მიზანია სამი მილსადენის (BTC/SCP/WREP) პროექტის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა და, აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა საქართველოში BTC/SCP და WREP მილსადენების ახლოს 2009 წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

### CDI 3

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მესამე ფაზა (CDI 3) 2010 წლის მაისში BTC და SCP მილსადენების სიახლოვეს დაიწყო პროგრამის წამყვანმა პარტნიორმა ორგანიზაციამ „ქეა საერთაშორისო“. CDI 2-დან CDI 3-ზე შეუფერხებელი გადასვლა მოხერხდა CDI 2-ის რამდენიმე კომპონენტის გაგრძელებით, პროექტის ახალი ფაზის დაწყებამდე.

„ქეა საერთაშორისოს“ მიერ CDI 3-თან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადება, როგორც კომპანიის შიგნით BTC/SCP ჯგუფის მიერ, ასევე საქართველოში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭოს მიერ იქნა განხილული. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ევროკავშირი (EU) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო სამხრეთ კავკასიაში (SDC).

2010 წლის მაისში ხელი მოეწერა ოფიციალურ ხელშეკრულებას ორგანიზაციასთან „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, რომელიც განახორციელებს პროგრამას ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრთან“ (CTC) და ბანკ „კონსტანტასთან“ (მიკროსესხები) ერთად. პროგრამის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2012 წლის იანვრის ბოლო, ხოლო მთლიანმა ბიუჯეტმა 1,865,081 აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის ბიუჯეტის თანხების დაზოგვის გამო, პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობის დასასრულებლად, პროგრამა გაგრძელდა

დამატებითი თანხების გამოყოფის გარეშე, ორი თვით, 2012 წლის მარტის ბოლომდე.

პროგრამის მესამე ფაზის მიზანი იყო, მდგრადი სოციალური და ეკონომიური განვითარების ხელშეწყობის გზით, მიღსადენების ტრასის ახლოს მცხოვრებ მოსახლეობასთან პოზიტიური და ჰარმონიული ურთიერთობების გაღრმავება და განმტკიცება. ქვეყნის სპეციფიკის, ასევე პროგრამის I და II ფაზების ფარგლებში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, სამომავლო პროექტების ყველაზე შესაფერის ორ ძირითად მიმართულებად სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დასახელდა.

პროექტის განხორციელების პირველი თვეების განმავლობაში, „ქეამ“ შეისწავლა იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები, რომლებიც შეძლებდნენ საკუთარ თავზე აეღოთ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხორციელების პასუხისმგებლობა, CDI 3-ის მეორე წლის განმავლობაში. კერძოდ, ეს კომპონენტები იყო: სოფლის მეურნეობის დარგში საკონსულტაციო მომსახურება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისთვის საჭირო საქმიანობების შესრულება. „ქეა საერთაშორისომ“ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია: “რეგიონული განვითარების ასოციაცია” შეირჩა დასავლეთის სექტორში, ხოლო “ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრს” დაევალა სამუშაოების ჩატარება აღმოსავლეთ სექტორში.

მე-3 ფაზის დაწყებიდან რვა თვის შემდეგ, „ქეამ“ დაიწყო აღნიშნული კომპონენტების გადაცემა შერჩეული ორგანიზაციებისათვის, მაგრამ თავად ასრულებდა დამკვირვებლის და კონსულტანტის ფუნქციას, პროგრამის მიმდინარეობის ორწლიანი პერიოდის განმავლობაში.

მოსახლეობასთან უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობის და დადებითი ზემოქმედების თვალსაზრისით უკვე მიღწეული შედეგების შესანარჩუნებლად, აგრეთვე კომპანიის ბიზნესსაქმიანობის შეუფერხებლად წარმართვისთვის და ქვეყნის მასშტაბით კომპანიის რეპუტაციის განსამტკიცებლად, დაიგეგმა „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის“ მე-4 ფაზა.

CDI 3-ის დასასრულს, პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობა შეფასდა საგარეო შემფასებლების მიერ, რომელთა დასკვნითი ანგარიშის თანახმად, სამომავლოდ „ნაციონალიზაციის“ სტრატეგიის განხორციელების პროცესი მართებულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული. ამავე შეფასების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციებს – CTC-ს და RDA-ს შესწევთ უნარი, რომ განახორციელონ პროგრამის მომდევნო ფაზა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, რომ ამ ორგანიზაციებს წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI 4-ის განხორციელების თაობაზე.

#### **ადგილობრივი მოსახლეობის განვითარები ინიციატივა – მე-4 ფაზა**

2012 წლის მარტში, „BP საქართველომ“ შესთავაზა CTC-სა და RDA-ს, რომ მათ წარმოედგინათ სატენდერო წინადადებები CDI-ის მე-4, სამწლიანი ფაზის განხორციელების შესახებ (CDI 4).

CDI 4-ის განხორციელების სატენდერო წინადადებები განხილულ იქნა როგორც კომპანიის შიგნით, **BTC** და **SCP**-ის პასუხისმგებელი პირების მიერ, ისე საგარეო მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელშიც შედიან საქართველოში მოქმედი ზოგიერთი ძირითადი დონორი ორგანიზაციის – ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისის (SDC) - წარმომადგენლები.

განხილვამ უჩვენა, რომ ორივე ორგანიზაციის წინადადებები შეესაბამებოდა CDI4-ის მიზნებს და შესაძლებელი იყო, რომ CTC-ს პროგრამა განხორციელებინა აღმოსავლეთ რეგიონში, ხოლო RDA-ს – დასავლეთ რეგიონში. პროგრამის მე-4 ფაზის განხორციელების პერიოდი განისაზღვრა 2012 წლის მაისიდან 2015 წლის მაისამდე, ხოლო მთლიანი ბიუჯეტი 3,116,631 აშშ დოლარს შეადგენს.

ზოგადად, პროგრამის მე-4 ფაზის ამოცანებია: პოზიტიური ურთიერთობის გაღრმავება კომპანიასა და BP-ის მილსადენების მარშრუტის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის, რაც მიიღწევა მდგრადი განვითარების პროექტებში ინვესტირების და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის გზით. პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: დახმარება სოფლის მეურნეობის სფეროში, ბიზნესის ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარება, მდგრად შედეგებზე გათვლილი საქმიანობის ხელშეწყობის გზით, სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აგრეთვე სათემო ორგანიზაციების მიერ სოციალური საწარმოების შექმნა.

CDI 4-ის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმების და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა, რეგიონალური აგრობიზნესის ხელშეწყობა, მცირე და საშუალო ბიზნესების შექმნა, საქონლისა და მომსახურების მიწოდების მიზნით.

## **პროგრამის მართვა და კოორდინაცია**

CDI პროგრამების მართვა ხორციელდება კომპანიის თბილისის ოფისში მომუშავე სოციალური პასუხისმგებლობის ჯგუფის მიერ. ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მრჩეველის სამუშაო დრო მთლიანად ეთმობა არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის მონიტორინგს და შეფასებას. ის სისტემატურად მონაწილეობს სავსე საქმიანობაში, ამოწმებს ყოველთვიურ, კვარტალურ, წლიურ და დასკვნით ანგარიშებს, აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს და სხვა სოციალურ ქვეკონტრაქტებს, აღრიცხავს შესაბამის ინვოისებს, უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა და პროცედურები BP-ის პრინციპებს მიესადაგებოდეს და რომ პარტნიორმა ორგანიზაციებმა განუხრელად დაიცვან BP-ის ქცევის კოდექსი და შეასრულონ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, რომლის მიხედვით, ისინი ვალდებული არიან იმოქმედონ ქცევის კოდექსის სრული დაცვით, როცა სამუშაოს BP-ის სახელით ასრულებენ.



CDI მრჩეველი ექვემდებარება *სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერს*.

პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები BP-ის წარუდგენენ ყოველთვიურ ანგარიშებს, რომლებშიც შეჯამებულია საანგარიშო თვეში ჩატარებული სამუშაოები და განსაზღვრულია მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები და მათი გადაჭრის გზები. ყოველ კალენდარულ კვარტალში წარმოდგენილ ანგარიშებში უფრო სიღრმისეულად არის გაშუქებული ფინანსური მენეჯმენტის საკითხები. წლიურ ანგარიშში ძირითადი ყურადღება ეთმობა შედეგებს, მონიტორინგსა და შეფასებას, პროგრამაში მომხდარ ცვლილებებს და ა.შ. დასკვნით ანგარიშში ხაზგასმულია მიღწევები და ამ მიღწევებით გამოწვეული შედეგები, ასევე მოცემულია პროგრამის შედეგების ზოგადი მიმოხილვა, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მიღებული გამოცდილება.

## **ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-4 ფაზა (CDI 4) BTC/SCP მილსადენების პროექტებისთვის**

### **მიზნები და ძირითადი კომპონენტები**

- **სოციალური / ინსტიტუციონალური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
  - სოციალური თანამშრომლობის მდგრადი ფორმებისა და მოსახლეობის მდგრადი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობა.
  - საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების 31 პროექტის განხორციელება.
  - 11 სათემო ორგანიზაციის (CBO) მიერ სოციალური საწარმოების შექმნა, შემოსავალის ზრდისა და მათი სოფლების მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის მიზნით.
  - კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ობიექტებითა და სოციალური საწარმოებით ისარგებლებს 25 ათასზე მეტი ადამიანი.
- **ეკონომიკური მიზანი და მისი კომპონენტები, როგორც საბოლოო მიზნის შემადგენელი ნაწილები**
  - მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება აგრობიზნესის გასავითარებლად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნა და მოსახლეობისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება.
  - 105 მცირე და საშუალო საწარმოს შექმნა, მინიმუმ 40% ქალების მონაწილეობით;
  - პროგრამით დაფინანსებული ახალი ბიზნესების 70%-ის მომგებიანობის უზრუნველყოფა გახსნიდან 12 თვეში;
  - ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში 3 ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფის შექმნა;
  - ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფების მიერ პროექტის ბენეფიციარებს გაეწევათ 36 სახის მომსახურება;
  - 100 სადემონსტრაციო ფერმის შექმნა;

- მინიმუმ 150 ფერმერს / პროდუქციის მწარმოებელს (რომელთა 30% ქალია) შეექმნებათ შესაძლებლობა ქალაქებში პროდუქციის რეალიზაციისათვის;
- 1800 ფერმერული მეურნეობა გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე;
- მილსადენების რაიონების ფერმერებზე გაიცემა 470 სუბსიდირებული აგროსესხი;
- მოხდება სამიზნე შინამეურნეობების შემოსავლების 20%-იანი ზრდა.

**პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:**

### **მთავარი სირთულეები**

CDI-ს დასავლეთის სექტორში არის რამდენიმე სოფელი, რომელთაც უჭირთ საერთო პრობლემების მოგვარება ორგანიზებულად, რაც მათი სათემო ორგანიზაციების სისუსტით ან პასიურობით არის გამოწვეული. პროგრამის განმახორციელებელმა პარტნიორმა – RDA-მ აქტიური კონსულტაციები დაიწყო ამ სოფლების მოსახლეობასთან, პროგრამის მსვლელობაში მათი უფრო აქტიურად ჩართვის და სარგებლის თანაბრად გადანაწილების მიზნით. ამ ძალისხმევის შედეგად, ორ სოფელში (ნაოხრებსა და წინუბანში) ორი ახალი სათემო ორგანიზაცია დარეგისტრირდა, სოფელ ტყემლანას სათემო ორგანიზაციამ ახალი ხელმძღვანელი აირჩია და ყველა მათგანმა გამოთქვა RDA-სთან თანამშრომლობის სურვილი. წინუბნის სათემო ორგანიზაციამ უკვე მოიპოვა გრანტი სოციალური საწარმოს პროექტის განსახორციელებლად, რაც მათ მართვის უნარ-ჩვევების შეძენასა და თანასოფლელების მხრიდან მეტი ნდობის მოპოვებაში დაეხმარება.

### **მოსახლეობის ინსტიტუციონალური პოტენციალის ამაღლება, სათემო ორგანიზაციების საქმიანობა**

უკვე მოქმედი და, განსაკუთრებით, ახლად შექმნილი სათემო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების შესაძლებლობების შეფასების მიზნით, RDA-მ ჩაატარა უნარების შეფასების კომპიუტერული ტესტირება, რომლის მეშვეობით ხდება ამა თუ იმ პირის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და, ამ ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, იგეგმება ტრენინგები, რომლებიც გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

უნარების შეფასების ტესტი და შედეგების ანალიზი სულ ორმოცი სათემო ორგანიზაციის წევრებს ჩაუტარდათ. მონაწილეთა უმრავლესობამ გამოავლინა ადმინისტრირების კარგი უნარი, თუმცა ანალიზმა უჩვენა, რომ ისინი საჭიროებენ მჭიდრო ზედამხედველობას და მკაფიო ინსტრუქციების მიცემას. გარდა ამისა, გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ გამოავლინა კომუნიკაციისა და არგუმენტირებული საუბრის კარგი უნარი, თუმცა ტესტმა გამოავლინა, რომ შეპასუხების ან წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ისინი, ნაცვლად კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების მცდელობისა, უკან დახევას ამჯობინებდნენ. ტესტმა ასევე

გამოავლინა სუსტი მხარეები, რაც გამოიხატებოდა მოტივაციის ნაკლებობით და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის არქონით.

ანალიზის ზემოსხენებული შედეგების გათვალისწინებით, RDA-მ სათემო ორგანიზაციების 20 წევრს ჩაუტარა ტრენინგები ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარებში.

### პრაქტიკული მაგალითი

#### **CDI-ს სათემო პროექტების ხელმძღვანელები თანამდებობებს იკავებენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში**

“ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის” (CDI) დაწესებისთანავე, ანუ 2003 წლიდან მოყოლებული, მისი ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებდა სათემო ორგანიზაციების შექმნას მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლებში და მათი საქმიანობის ხელშეწყობას. შედეგად, თითოეულ სოფელში მინიმუმ ერთი ასეთი სათემო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, თითოეული მინიმუმ სამი წევრის შემადგენლობით. როგორც წესი, სათემო ორგანიზაციებში ერთიანდებიან სოფლის ნდობით აღჭურვილი პირები და სოფლის არჩეული თავკაცები.

საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირს უდავოდ ესაჭიროება ლიდერობის, საკადრო და მატერიალური რესურსების მობილიზების, მრავალკომპონენტიანი პროექტების მართვისა და საკუთარი ამომრჩევლის წინაშე ანგარიშვალდებულების უნარები და გამოცდილება.

სწორედ ამიტომ, CDI-ს დასავლეთის სექტორის სოფლების სათემო ორგანიზაციების თერთმეტი წევრი უკვე დასაქმდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში და ახლა საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს არა მხოლოდ სოფელს, არამედ მთლიანად მუნიციპალიტეტს. მათგან ექვსი არჩეულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად, ოთხმა კანდიდატმა დაიკავა სოფლის რწმუნებულის თანამდებობა თავის მუნიციპალიტეტში, ხოლო ერთი პირი ადგილობრივი პოლიციის უფროსად დაინიშნა.

სოფელ მოლითში 2003 წელს დაარსებული სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელის და 2009 წლიდან ბორჯომის საკრებულოში სოფელ მოლითის წარმომადგენლის – ალიკ არუთუნიანის განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება არ მოელოდა, რომ სათემო ორგანიზაცია ასე ადვილად შეძლებდა მოსახლეობის მობილიზებას და მათ აქტიურ ჩართვას საერთო სასოფლო პროექტში, რაც ხელისუფლებისთვის ყოველთვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

“ჩვენ თანასოფლელების მობილიზება შეგვიძლია, რადგან ჩვენ მიმართ მაღალი ნდობა არსებობს, თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა და ეს ურთიერთობა გარკვეული დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა სოფლისთვის საჭირო იმ ერთობლივი სამუშაოების პროცესში, რომელსაც ჩვენ BP-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების ფარგლებში ვასრულებდით. როცა ხალხმა დაინახა, რომ ჩვენ მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე



ემუშაობდით, მათაც მოგვბაძეს და ამ წლების განმავლობაში, ერთობლივად, BP-ის, CARE-ის და ახლა უკვე RDA-ს მხარდაჭერით, რვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება შევძელით.”

### **ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების გაუმჯობესების პროექტები**

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, დასრულდა ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციის 12 პროექტი, გრძელდება მუშაობა 11 პროექტის ფარგლებში. სულ შესრულებულია ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 31 პროექტი.

კვარტლის ბოლოსთვის, შვიდი დასრულებული პროექტის შედეგებით სამი ათასზე მეტმა ოჯახმა ისარგებლა.

### **სოციალური საწარმოები**

საანგარიშო კვარტალი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა პროგრამის აღმოსავლეთ სექტორში, სადაც სოციალური საწარმოების შექმნის მიზნით გრანტების მისაღებად კონკურსი გამოცხადდა. დამატებით ოთხი სოციალური საწარმო შეიქმნა დასაფინანსებლად. აღმოსავლეთ სექტორში სულ შვიდი სოციალური საწარმო ფუნქციონირებს.

გრანტის მიმღები თითქმის ყველა სოციალური საწარმო საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიზნესწინადადების შესაბამისად და გარკვეულ შემოსავალსაც იღებს. სოციალური საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტაციის მიხედვით, მათ დაამუშავეს 46 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთები და 99 შინამეურნეობას გაუწიეს მომსახურება.

დასავლეთის სექტორში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი სოციალური საწარმო და ახლა აქ სულ სამი სოციალური საწარმო ფუნქციონირებს.

დასავლეთის სექტორში მოქმედმა სამმა სოციალურმა საწარმომ საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაუწია 104 მომხმარებელს. სულ გაწეული მომსახურების რაოდენობა 193-ს შეადგენს და მათი საერთო ღირებულება 9597 აშშ დოლარს უტოლდება.

*დახმარება სოფლის მეურნეობის დარგში და ახალი ბიზნესების დასაწყებად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდირებული სესხები, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას*

### **სოფლის მეურნეობა**

ივლისში დაიწყო მოსავლის აღების სეზონი და სექტემბრის ბოლოსთვის, 30 სადემონსტრაციო ფერმის მიერ 15 ჰა ფართობზე აღებული მოსავლის საერთო რაოდენობამ 177 ტონას მიაღწია.

ხახვისა და ნივრის სადემონსტრაციო ფერმების მოსავალმა, საშუალოდ, შესაბამისად, ჰექტარზე 29 და 9 ტონა შეადგინა. ხახვის მოსავალი დაახლოებით 30%-ით აღემატებოდა ადგილობრივ საშუალო მაჩვენებელს, რომელმაც ჰექტარზე 22 ტონა შეადგინა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფელ წყრუთსა და წირაში აღებული მოსავალი. ვინაიდან ამ ადგილებისთვის დამახასიათებელია გვალვები, CDI4-ის ფერმერები საკუთარ სადემონსტრაციო ნაკვეთებში იყენებენ ირიგაციის მოწინავე ტექნოლოგიებს (წვეთოვანი ირიგაციის სისტემა, რომელიც შეგროვილი წვიმის წყლით მარაგდება და ასევე ღრმა ჭების გამოყენება სარწყავად). ამ ღონისძიებების მეშვეობით, მათ ბოსტნეულის (კიტრი, პომიდორი) უპრეცედენტო მოსავალი მიიღეს ჰექტარზე 60 ტონის ოდენობით მაშინ, როცა ადგილობრივ დონეზე ბოსტნეული კულტურების საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 10 ტონა შეადგინა.

RDA-მ შეაღარა იმ სადემონსტრაციო ფერმების ბოსტნეულის მოსავლიანობის მაჩვენებლები, რომლებიც ირიგაციის მოწინავე ტექნოლოგიებს იყენებენ, იმ ფერმების მიერ მიღებულ მოსავალს, რომლებიც კლიმატურ პირობებზე არიან დამოკიდებული. კვლევამ უჩვენა, რომ ხუთმა სადემონსტრაციო ფერმამ, რომლებიც წვეთოვანი ირიგაციის მეთოდს იყენებენ, 28%-ით მეტი მოსავალი მიიღო, ვიდრე ფერმერთა იმ ჯგუფმა, რომლებიც ასეთ ღონისძიებებს არ მიმართავენ.

სოფელმა თორმა უკვე მიაღწია იმ ეტაპს, როცა საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი სოფლის მეურნეობა კომერციულად რენტაბელურ აგრობიზნესად გარდაიქმნება.

გასულ კვარტალში, სოფელ თორის ფერმერებმა, პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით, 18 ცხენის ძალის ძრავიანი ტრაქტორი შეიძინეს, რომლითაც მთლიანად დაამუშავეს მათ სარგებლობაში არსებული 3,5 ჰექტარი სათიბი მიწები. თორში შექმნილმა სადემონსტრაციო ფერმამ მის კუთვნილ 0,4 ჰა ფართობზე მიიღო 16 ტონა კარტოფილის მოსავალი, ანუ მოსავლიანობის მაჩვენებელმა ჰექტარზე 40 ტონა შეადგინა, რაც 170%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. გარდა ამისა, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ფერმერებმა გასაყიდად ვარგისი ხარისხის პროდუქცია მიიღეს და, RDA-ს დახმარებით, ადგილობრივ გასაღების ბაზრებს დაუკავშირდნენ.

### კომბინირებული საკვების სადემონსტრაციო ფერმები

CDI-ს დასავლეთის სექტორში სულ დარიგდა 65 ტონა კომბინირებული საკვები, რომლის საერთო ღირებულებიდან სუბსიდირებულმა თანხამ 19,550 ლარი შეადგინა, ხოლო 35,750 ლარი თავად CDI-ს მონაწილე ფერმერებმა გადაიხადეს. RDA-მ ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 64 პირი - მილსადენის 14 სოფელში მცხოვრები 299 ბენეფიციარიდან.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ბენეფიციართა კუთვნილი პირუტყვის მწარმოებლურობა საშუალოდ 18%-ით არის გაზრდილი. ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელი აღირიცხა სოფლებში – ანდეზიტი (30%), საყუნეთი, ციხისჯვარი,

მოლითი (25%). ყველა ფერმერის მხრიდან აღინიშნა პროდუქტიულობის მინიმუმ 10%-იანი ზრდა.

ფერმერთა ასოციაცია „სამცხემ“ აიღო კარტოფილის მოსავლის დიდი ნაწილი (როგორც დაბლობში, ისე მაღალმთიან ნაკვეთებზე), მოსავლის ნაწილი სათესლედ შეინახა და დაიწყო რეალიზაცია. პირდაპირ ფერმიდან რეალიზებული 65 ტონა კარტოფილის ღირებულებამ 43,500 ლარი შეადგინა (აქედან 50 ტონა სასურსათე კარტოფილი იყო, ხოლო 15 ტონა – სათესლე კარტოფილი). სასურსათე კარტოფილის მთლიანი მოსავალი შეისყიდა თბილისის კვების ობიექტებისა და სუპერმარკეტების ქსელების – “გუდვილი”, “პოპული”, “ფურშეტი” და “ორი ლულა” – მიმწოდებელმა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ პირდაპირ ფერმიდან შესყიდული პროდუქციის რაოდენობამ სექტემბრის ბოლოსთვის 50 ტონას მიაღწია. ასოციაცია “სამცხემ” მეტი სარგებელი მიიღო ამ კონტრაქტიდან, ვიდრე ინდივიდუალური მყიდველებისთვის მიყიდული პროდუქტიიდან, რადგან მიმწოდებელი ფერმები პროდუქციას შეისყიდვიან რეგულარულად, უფრო მეტი რაოდენობით და უკეთეს ფასად. ერთი მხრივ, ინდივიდუალურ მყიდველებზე და, მეორე მხრივ, მიმწოდებლებზე რეალიზებული პროდუქტიიდან მიღებულ მოგებას შორის სხვაობამ 20-25% შეადგინა.

მოსავლის აღების სეზონის განმავლობაში მაქსიმალურად გააქტიურდა მარკეტინგული საქმიანობაც. RDA-ს თანამშრომლების ხელშეწყობით, 19 სოფელში 86-მა ფერმერმა მოახდინა 120 ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზება, რომლის საერთო ღირებულებამ 121 ათასი ლარი შეადგინა. მთელი პროდუქცია გაიყიდა როგორც გადამყიდველებზე, ისე ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის ადგილობრივ აგრარულ ბაზრებზე.

აღმოსავლეთ სექტორში, სადემონსტრაციო ფერმებში დანერგილი ახალი ტექნოლოგიების სრული პაკეტის გადაცემა მოახდინა 67-მა ფერმერმა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 25%-მა. დანარჩენებმა დანერგეს ახალი ტექნოლოგიების მინიმუმ ერთი ასპექტი. არ არსებობს ფერმერი, რომელსაც რაიმე სიახლე არ დაუნერგავს თავის ფერმაში.

ჯგუფური ტრენინგებისა და ინდივიდუალურად გაწეული რეკომენდაციების მეშვეობით, 2,141-მა მაცხოვრებელმა ისარგებლა პროექტის მიერ შეთავაზებული ტექნოლოგიის მინიმუმ ერთი კომპონენტით, რაც სამიზნე შინამეურნეობების დაახლოებით 15%-ს შეადგენს.

### **ბიზნესის წამოწყება**

CDI-ს დასავლეთის სექტორში უკვე 44 ახალი ბიზნესია შექმნილი, გრანტის მიმღებთა საერთო რაოდენობაა 68, საიდანაც 34 ქალი და 34 მამაკაცია.

სულ დასაქმებულია 82 პირი, აქედან 43 ქალია. პროგრამის ამ კომპონენტის ფარგლებში, მისი ამოქმედებიდან, ანუ 2012 წლიდან, მილსადენის სოფლების მაცხოვრებელი 150 ბენეფიციარის (გრანტის მიმღების და ბიზნესში დასაქმებულის) მიერ მიღებულმა სუფთა შემოსავალმა 93,843 ლარი შეადგინა.

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, დასავლეთის სექტორში უკვე მოქმედი 44 მცირე ბიზნესის მიერ გაწეული 1871 მომსახურებისთვის მიღებულმა შემოსავალმა მთლიანად შეადგინა 43,151 ლარი.

CDI-ის აღმოსავლეთის სექტორში დაფუძნებული ბიზნესების საქმიანობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ყველა ბიზნესი ფუნქციონირებს და ყველა გრანტის მიმღები სათანადოდ აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას. დოკუმენტაციის მიხედვით, 8,538 ბენეფიციარს გაეწია სხვადასხვა სახის მომსახურება და მიღებულმა შემოსავალმა ჯამში 2,246 ლარი შეადგინა. თითოეულ ოჯახზე გადაანგარიშებით, ოჯახის შემოსავალი საშუალოდ 320 ლარით გაიზარდა, რაც პროექტის ინვესტიციის 24%-ს შეადგენს.

როგორც წინა კვარტლის ანგარიშში იყო აღნიშნული, CDI-ის აღმოსავლეთ სექტორში გამოცხადდა ახალი ბიზნესების დაწყების საგრანტო კონკურსის მეორე რაუნდი. შეფასების შედეგად შეირჩა 38 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი 35 განცხადება და მოხდა კანდიდატების ჩარიცხვა ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგებზე.

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში ჩატარდა სამი ტრენინგი ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებში.

შერჩევის კრიტერიუმებსა და ადგილზე შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, შესარჩევი კომიტეტის მიერ დასაფინანსებლად შეირჩა 19 ბიზნესი (21 გრანტის მიმღები).

### ***სუბსიდირებული მიკროსესხები***

საანგარიშო კვარტლის განმავლობაში, დასავლეთის სექტორის სოფლებში გაიცა 14 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სესხი. სულ დასავლეთის სექტორში გაცემულია 72 სესხი. სესხების დაფარვა დაგვიანებების გარეშე მიმდინარეობს.

### ***მომსახურების ჯგუფი***

CDI 4-ის ფარგლებში შექმნილი სამი ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფი აგრძელებს მომსახურების გაწევას როგორც სათემო ორგანიზაციებისა და მცირე ბიზნესებისთვის, ასევე გარეშე კლიენტებისთვის. მიმდინარე კვარტალში, ამ სამი მომსახურების ჯგუფის მიერ მიღებულმა შემოსავალმა ჯამში 4130 ლარი შეადგინა, საიდანაც 2670 ლარი სუფთა მოგება იყო.

## **მომდევნო კვარტალი**

### **CDI 4 აღმოსავლეთი**

მომდევნო კვარტლისთვის დაგეგმილი სამუშაოები:

- დასრულება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები (მეორე ეტაპი).
- განხორციელება დასრულებული ინფრასტრუქტურული ობიექტების შემდგომი ფუნქციონირებისა და მოვლა-შენარჩუნების მონიტორინგი.
- სოციალურ საწარმოებს გაეწევათ დახმარება შესყიდვების პროცესში და გაკონტროლდება მათი საქმიანობა.
- განხორციელება ახალი ბიზნესის დასაწყებად გრანტების მიმღებთა საქმიანობის მონიტორინგი.
- გაფორმდება მეორე წლის ხელშეკრულებები სადემონსტრაციო ფერმერებთან.
- გაგრძელდება ფერმერებისთვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარება.
- გაგრძელდება სადემონსტრაციო ფერმებში მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგი.
- გაგრძელდება სესხების ათვისების პროცესის მონიტორინგი.

#### CDI 4 დასავლეთი

- დასრულება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ყველა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.
- ჩატარდება პროექტის მიმდინარე კვარტალური კვლევა.

#### **ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა WREP მილსადენის მიმდებარე სოფლებისთვის**

2009 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველოში WREP მილსადენის ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა BTC და SCP მილსადენებისთვის შექმნილი პროგრამის მართვის ერთიან სტრუქტურაში მოქცეულიყო. შედეგად, სატენდერო წინადადებების მოთხოვნის (RfP) პროცესის მეშვეობით, პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ. პროექტის სამიზნე მიმართულებად განისაზღვრა ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

“ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტის” განხორციელება 2010 წლის მაისში დაიწყო. სატენდერო პროცესის მეშვეობით, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციად შეირჩა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სკაუტები“, რომელიც პროექტის ფარგლებში თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - “ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი” და სხვა პარტნიორებთან.

პროექტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის მაისი. პროექტის მთლიანმა ბიუჯეტმა 482,013 აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც BP-ის მიერ ამ პროექტის განსახორციელებლად 299,923 აშშ დოლარი გამოიყო. 173,490 აშშ დოლარის თანადაფინანსება გამოიყო სკაუტების ადგილობრივი ორგანიზაციისა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის“ (CTC) მიერ, აგრეთვე „შვეიცარიის



მეგზურებისა და სკაუტების მოძრაობასთან” ერთად განხორციელებული პროექტის მიერ.

პროექტის მიმდინარეობისას, დამატებით 55500 აშშ დოლარი გამოიყო დამატებითი ღონისძიებებისათვის, მათ შორის, მეორე საზაფხულო ბანაკის მოსაწყობად და აგრეთვე სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსის ჩასატარებლად პროექტის მონაწილე სკოლების მასწავლებლებისთვის. პროექტის ყველა ეს დამატებითი ღონისძიება დაიგეგმა სამიზნე სკოლებისა და ახალგაზრდული ჯგუფების საჭიროებების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. დამატებითი ღონისძიებების შესასრულებლად, პროექტი გაგრძელდა 2012 წლის ივნისის ბოლომდე. პროექტის განხორციელება საანგარიში პერიოდში დასრულდა.

2012 წლის მე-3 კვარტალში კომპანიამ ხელახლა გამოაცხადა ტენდერი WREP მილსადენის გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის ახალი პროექტების განმახორციელებელი პარტნიორის გამოსავლენად.

WREP მილსადენის მთელი მარშრუტის მიმდებარე სოფლებში დაიგეგმა “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი”, რომლის განმახორციელებელ პარტნიორად შეირჩა სკაუტური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაცია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2012 წლის ოქტომბერში და მისი დასრულება 2015 წლის დეკემბრის ბოლოს იგეგმება. პროექტის მთლიანი ღირებულება 1,302,190 აშშ დოლარია, აქედან BP-ის დაფინანსება 1,228,385 დოლარს შეადგენს, ხოლო სკაუტური მოძრაობის თანადაფინანსება 73,805 დოლარს უდრის.

პროექტი მიზნად ისახავს მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას და განკუთვნილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრობს WREP მილსადენის 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს), ასევე BP-ის მიწისზედა ობიექტებთან მისასვლელი გზების 4 კმ სიგანის დერეფანში (2კმ გზის თითოეულ მხარეს), ან განიცდის ზემოქმედებას რომელიმე მონაკვეთზე კომპანიის რაიმე ინტენსიური ოპერატიული საქმიანობის მიმდინარეობის გამო.

სამიზნე სოფლების გარდა, პროექტი ასევე განხორციელდება იძულებით გადაადგილებულ პირთა ოთხ დასახლებაში, რომლებიც WREP მილსადენიდან 2 კმ სიგანის დერეფანში (1 კმ მილსადენის თითოეულ მხარეს) მდებარეობს. იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების ადგილებში პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა ძირითადად მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში არსებული სკოლების მოსწავლეების უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვემოთ აღწერილია მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ძირითადი ამოცანები და მიმართულებები.

**მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი (SBDP) – მიზნები და ძირითადი კომპონენტები**

- მილსადენის მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის შესაძლებლობების შექმნა, რათა მათ განავითარონ მცირემასშტაბიანი აგრო- და არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების, ცოდნისა და საშუალებების გადაცემის გზით.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა 4 სამიზნე დასახლებაში არსებული სკოლების მოსწავლეებისთვის გარემოსდაცვითი საგანმათლებლო ინიციატივების განხორციელება, გარემოს დაცვის სფეროში მოსწავლეებისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემა, რაც შეცვლის მათ დამოკიდებულებას ბუნებრივი გარემოს მიმართ.
- ორგანიზაცია “საქართველოს სკაუტების” შესაძლებლობების განვითარება, რათა მოხდეს მათ მიერ გაწეული ხარისხიანი სერვისების დივერსიფიკაცია.

პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი მთავარი შედეგებია:

- 275 ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნა, რომელთაგან მინიმუმ 75% უნდა გახდეს ფინანსურად მდგრადი, რათა შეძლოს ბიზნესის გაფართოება და შემდგომი განვითარება, მიღებული მოგების რეინვესტირების გზით;
- მინიმუმ 275 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა;
- გრანტების 50% გაიცემა ბიზნესის დაწყების მსურველ ქალებზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩასახლების ადგილებში არსებული სკოლების მოსწავლეებისთვის “მსოფლიო გარემოსდაცვითი პროგრამის” გაცნობა.

**პროექტის ფარგლებში მიღწეული ძირითადი შედეგების კონკრეტული მაგალითები:**

**მთავარი სირთულეები:**

ბიზნესწინადადების შედგენის საკითხებზე ჩატარებულ ტრენინგს სულ 654 კანდიდატი დაესწრო, თუმცა მეორე ეტაპზე წინადადება წარმოადგინა მხოლოდ 612-მა კანდიდატმა, 42-მა პირმა მეორე ეტაპის წინადადების წარმოდგენაზე უარი თქვა, სხვადასხვა მიზეზით – ზოგმა მათგანმა ვერ გაართვა თავი ბიზნესწინადადების შედგენას, ზოგმა მუშაობა დაიწყო და დრო ვეღარ გამონახა, ხოლო ერთმა ნაწილმა პროექტში მონაწილეობისგან თავი შეიკავა გრანტის მიღების შემთხვევაში სახელმწიფოს სოციალური დახმარების დაკარგვის შიშით.

ბიზნესწინადადებების შედგენის ტრენინგის შედეგად, მეორე ეტაპზე წარმოდგენილ იქნა გაცილებით მაღალი ხარისხის ბიზნესწინადადებები, ვიდრე პირველი ეტაპის დროს. მიუხედავად ამისა, წინადადებების უმრავლესობა დამატებით დახვეწას საჭიროებდა. აშკარა იყო, რომ ტრენინგის მონაწილეებს გაუჭირდათ ბიზნესწინადადების ფინანსური კომპონენტის შედგენა, კერძოდ, თანამონაწილეობის ბიუჯეტის და მოსალოდნელი მოგების დაგეგმვის ნაწილში. პროექტის მობილიატორებმა მეორე ეტაპის “მოკლე სიაში” მოხვედრილ კანდიდატებს დამატებით, ადგილზე გაუწიეს კონსულტაცია და დახმარება, რათა მათ გამოეწორობინათ მათი ბიზნესწინადადებების ნაკლოვანებები და უკეთ ჩამოეყალიბებინათ ისინი.

**ანგარიშის ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობა და ძირითადი მიღწევები და შედეგები:**

- 612 ბიზნესწინადადება იქნა წარმოდგენილი კონკურსის მეორე ეტაპში. შესარჩევმა კომიტეტმა, ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგებზე დასასწრებად და ბიზნესგრანტის მისაღებად, საბოლოოდ, 293 კანდიდატი შეარჩია.
- ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებზე 17 ტრენინგი ჩატარდა თბილისში, გორში, ქუთაისში, საჩხერეში, ჭიათურასა და ლანჩხუთში. ამ ტრენინგებს 293 კანდიდატი დაესწრო.
- 290 ბენეფიციარზე გაიცა გრანტები მცირე ბიზნესის დასაწყებად. დამატებითი 15 გრანტის (ანუ 290 გრანტის, დაგეგმილი 275-ის ნაცვლად) გაცემა მოხერხდა პროექტის მიმდინარეობის პირველ წელს დაზოგილი თანხებიდან. შედეგად, პროექტით უფრო მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს.
- 290 შერჩეული ბიზნესიდან, ამ ეტაპზე კონტრაქტს ხელი მოეწერა 174 ბენეფიციართან. დანარჩენებთან კონტრაქტები მომდევნო კვარტალში გაფორმდება.
- ამ ეტაპზე, 76-მა ბენეფიციარმა მოახდინა თანამონაწილეობის თანხების მობილიზება და გაიცა 20 გრანტის თანხა.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში შექმნილმა მოსწავლე-ახალგაზრდების სამმა ჯგუფმა დაასრულა მიკროპროექტების განხორციელება და წარმოადგინა ანგარიში. წეროვანის დასახლების ჯგუფი აგრძელებს პროექტით დაგეგმილ საქმიანობას და მის დასრულებას წლის ბოლოსთვის გეგმავს.

**იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:**

- ბერბუკის (სვენეთის) დასახლებაში განხორციელდა პროექტი – “სუფთა გარემო სკოლაში”, რომელიც ითვალისწინებდა სკოლის ტერიტორიის დასუფთავებას და სანაგვე ურნების დადგმას სკოლის ეზოში.
- შავშვების დასახლებაში განხორციელდა პროექტი – “მეტი განათლება უკეთესი გარემოსთვის”, რომელიც ითვალისწინებდა სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობას.
- ხურვალეთის დასახლებაში განხორციელდა პროექტი “დაიცავი გარემო”, რომლის ფარგლებში სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო სარეკრეაციო ადგილი.
- 25 მოსწავლე იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებიდან და 68 მოსწავლე “მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის” სამიზნე სოფლებიდან (“ცვლილებების აქტივისტები”) იმყოფებოდა ორგანიზაცია “საქართველოს სკაუტების” მიერ მოწყობილ საზაფხულო ბანაკში. ბანაკი მოეწყო 2013 წლის 6-16 აგვისტოს, ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხეში და თავი მოუყარა 460 მონაწილეს 12 სხვადასხვა ქვეყნიდან.

## პრაქტიკული მაგალითი

ტრენინგები ბიზნესწინადადების შედგენის და ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებზე, რომლებსაც პროექტი მსურველებს სთავაზობს, მიზნად ისახავს სამიზნე ჯგუფებისთვის იმ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადაცემას, რომლებიც აუცილებელია წარმატებული ბიზნესის წარმოებისთვის. ამ ტრენინგების მეშვეობით, მონაწილეებმა ისწავლეს, თუ როგორ ჩამოაყალიბონ ბიზნესიდეა და როგორ დაწერონ შესაბამისი წინადადება, როგორ დაეგვიანონ მარკეტინგისა და პროდუქციის დისტრიბუციის კომპონენტები, როგორ დაითვალონ ხარჯები და დაადგინონ ფასები, როგორ შეაფასონ კონკურენციის დონე, როგორ მართონ საკადრო რესურსები და ფინანსები. ტრენინგის მონაწილეების შეფასებით, ტრენინგები მათთვის ძალზე საჭირო და სასარგებლოა:

„ადრე არასოდეს მიფიქრია, რამდენად იყო ჩემზე დამოკიდებული ჩემი ოჯახის ფინანსები, რადგან ხარჯისა და შემოსავლის აღრიცხვას არ ვაწარმოებდი. წარმოდგენა არ მქონდა, რა იყო ჩემ მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.“

ახლა უკვე ყველაფრის დათვლა და აღრიცხვა დავიწყო, ამიტომ უკვე შემიძლია ისეთი ფასის გამოთვლა, რომელიც ჩემთვის მომგებიანი, ხოლო ჩემი კლიენტებისათვის მისაღები იქნება.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩემი ოჯახი ჩემით ამაყობს, რადგან პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადავდგი – ჩემი საქმე ვიპოვე და საკუთარი თავის რწმენა შევიძინე. ამიტომ ვფიქრობ, რომ წარმატებაც არ დააყოვნებს”, ამბობს ციური ტაბატაძე, ხაშურის რაიონის სოფელ ბროლოსანიდან.

“პირველ ბიზნესპროექტს რომ ვწერდი, მთელი ჩემი ოჯახი ჩართული იყო, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, როგორ უნდა დამეწერა. ბიზნესწინადადებების შედგენის კურსის გავლის შემდეგ, ჩემი ბიზნესპროექტის მეორე ვერსია დამოუკიდებლად, სხვების დახმარების გარეშე დავწერე, რითაც ძალიან ვამაყობ. განსაკუთრებით მეამაყება, რომ კონკურსში გავიმარჯვე. ჭრა-კერვის ერთწლიანი კურსი უკვე გავიარე და ახლა, მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში გაცემული ბიზნესგრანტის მეშვეობით, მეძლევა შესაძლებლობა, რომ საკუთარი ბიზნესი დავიწყო”, ამბობს ნინო ზაქარეიშვილი, სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლაგომიდან.

## მომდევნო კვარტალი

- გაიცემა ბიზნესგრანტები;
- განხორციელდება დაფინანსებული ბიზნესსაქმიანობის მონიტორინგი და მეწარმეებს გაეწევათ სათანადო კონსულტაციები;
- განხორციელდება გარემოსდაცვითი პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობა;
- ახალგაზრდების შერჩეულ ჯგუფებს ჩაუტარდებათ ტრენინგები პროექტების მართვის საკითხებში;
- გამოცხადდება მიკროგრანტების პროგრამის დაწყება;
- მიიღება წინადადებები გარემოსდაცვითი პროექტების მიკროგრანტებით დასაფინანსებლად;

- გამოქვეყნდება პროგრამის წლიური ანგარიში.



## აკრონიმები

BTC/SCP	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი/სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
WREP	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი
CDI	ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა
CIP	საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა
FtM	ფერმერები და ბაზარი
YCBP	ახალგაზრდა თაობის უნარ-ჩვევების განვითარების პროექტი
SBDP	მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
RDA	რეგიონალური განვითარების ასოციაცია
CTC	ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი
RFP	სატენდერო წინადადებების მოთხოვნა
CBO	სათემო ორგანიზაცია
FLSG	ფინანსური და იურიდიული მომსახურების ჯგუფი

დასასრული